



ნ.ბ. ზ. შორაჩიძისა

№ 6 (1280) მარტი 1968

ბავშვი, რომელიც ქვას ხეთხს.

• ნახეშა

ბავშვებისათვის ფული ფასი 20 კპპ.

ამ ბოლო დროს ძალიან უსინდისოდ შემო-
წუხა კუქმა. თავიდან ასატანი ტკივილები
მქონდა, მერე კი ნულარ იკითხავთ: უმატა და
უმატა წნევასავით. მატება ასე არ უნდა-მეთქი
და მეც ვუმატე და ვუმატე სოდის სმას. ერთ
თვეში ჩვენი აფთიაქის სოდის მარაგი გამოფ-
ლიე. მთელი ამ ხნის განმავლობაში მილიონ-
ჯერ უნდა მივსულიყავი ექიმთან.

თქვენ გგონიათ, არ ვიცი, რომ ექიმი იმისთ-
ვის არის საჭირო, რამე თუ გაწუხებებს, მოგირ-
ჩინოს? ვიცი. თქვენ გგონიათ, ჩემი თავი არ
მიყვარს და ჩემი კუქი ფეხებზე მკიდა? არა.
თქვენ გგონიათ, მე, უმატრონი ვარ და სახლში
არავინ მიიხბრა, ექიმთან წადიო? მიიხბრეს,
მაგრამ...

— დღეს აუცილებლად წადი, ბიჭო, ექიმ-
თან! — მიხზოვა ბებიამ.

— არ შეიძლება ასე მიტოვება, მერე და მე-
რე ტონა სოდა ვერ გიშველის! — დაუმატა სი-
დღერმა.

— მივდივარ! — კარი გამოვალე და ის იყო
გარეთ გასვლას ვაპირებდი, რომ...

— მერაბ, შენი ჭირიმე, აილე ერთი ეს ჩან-
თა, ჩაალავე შიგ ცარიელი ბოთლები და აქე-
თობისას „ბორჯომი“ გამოიძღვანე.

— მაგაზე კარგს ვერაფერს იხამ! — დაამა-
ტა სიდღერმა.

ავილე ჩანთა. ჩავალავე შიგ ბოთლები და გა-
მოვედი გარეთ. ჩანთა ჰქვია, თორემ ისე ორ
ტომარას არჩენიან შეცვლის. როგორია ახლა

ამ ბოთლებით ექიმთან მისვლა? ვიფიქრე, ჯან-
დაბას, წავალ, ჯერ „ბორჯომს“ მოვიტან და
მერე გავვარდები ექიმთან-მეთქი. მაგრამ ვაი
შენ, ჩემო კუქო! კაცი ბჭობდა, ღმერთი იცი-
ნოდაო. მე შენ გეტყვი, თბილისი მოსკოვია —
შეხვიდე მაღაზიაში და უცებ იყიდი „ბორჯო-
მი“. სამსათანახეარი „ბორჯომი“ ვექებე სუ-
ლიკოსავით. ბოლოს მივაკვლიე, მოვივიდე
ზურგზე ტომარა და მოვათრიე სახლში.

— რა გითხრა ექიმმა? — მკითხა ბებიამ

— ჩვენი „დინამო“ ხომ კარგად თამაშობსო.

— ასე სულ ხუმრობა არ გამიგია მე. მიიხბა-
რი წესიერად! — მიხზოვა ცოლმა.

ჩემი თავის ამბავი ვიცი: ახლა ამათ რომ
ავყვებ, მერე ჩემი დაწყნარება ფსიქიატრსაც
გაუჭირდება. დავიხურე ქუდი და...

— არ იქნებოდა ეს შეჩვენებული ექიმთან.
გადაყვა ამხანაგებს, — თქვა სიდღერმა.

— წადი, ბიჭო, წადი! — მიხზოვა დედაშვი-
ლურად დედაჩემმა.

— მივდივარ!

— აუცილებლად მიდი. აქეთობისას საღამოს
„თბილისი“ წამოიძღვანე!

სახლში გაზეთი რომ არ მივიტანო, იმ
დღიდან საუზმეს, სადილს და ვახშამს უნდა
გამოვეთხოვო. გაზეთის კიოსკთან უამრავი ხალ-
ხი დამხვდა. გაზეთი ჯერ არ მოეტანათ. რომ
წავსულიყავი, მერე გაზეთს ვეღარ ვიყიდდი.
დავიწყე ლოდინი. ჩემს ჩინაზე გაზეთის მო-
ტანა დაავიანეს.

ბოლოს, როგორც იქნა, ვიყიდე. დავაპირე
კიდეც ექიმთან წასვლა, მაგრამ გამახსენდა,
რომ უკვე კარგა გვიანი იყო და...

— რაო? — მკითხა სიდღერმა.

— ჩემის აზრით, გურული ტყვემალე ჯობია
გორულ მსხალსო.

— კიდეც არ იყავი ხომ? მოგკლავს, ბიჭო,
ჯერ ჩვენი ცოდვა და მერე შენი კუქი, — იყ-
ვირა სიდღერმა.

— დილით ადგები თუ არა იმ წუთში წადი!

— თქვა კატეგორიულად ცოლმა.

— აბა, რძებზე მე წავიდე? — დაიღრინა სი-
დღერმა.

— არა, დედა, პურს, რძეს, კარაქს, შაქარს
და ხორცს რომ მოარბენინებს, მერე, — დაამშ-
ვიდა ცოლმა.

— დილით მოვიტანე ზემოაღნიშნული ხორავი
და...

— ახლავე, ახლავე! აღარ გაიხადო პალტო.
პირდაპირ წადი. ოღონდ, ჯერ მოსკოვის მატარ-
ებელს დახვდი და ბავშვისთვის მოსკოვური
გალეტი იყიდე!

ექიმთან რა თქმა უნდა, ვერ წავიდე

— რა დაგემართა, ბიჭო, შენ? მე ხომ არ წა-
ვალ შენს მაგივრად ექიმთან? — მისაყვედურა
ცოლმა.

ხმა აღარ ამოიღია. ქალები ყოველთვის
მართლები არიან.

მერაბ ბერაძე

ცხლინცხვიუ

როგორ ბაღაჩიანე მელიანე დაზარალებულები მგელთან ჩივილს

ბელაქოვანბატონი: პატივცემულო ტელემეფურებლებო! დღეს სტუ-
დიაში მოვიწვიეთ ჩვენი სახელოვანი სპორტსმენი შავლევ კუნთაძე, რომე-
ლიც ახლახან დაბრუნდა თბილისში. შავლევ, როგორია თქვენი პირადი
შთაბეჭდილებანი ამ ქალაქების შესახებ, სადაც გამოდიოდით?

კუნთაძე (გა შე შე ბ ლ ი ა, თ ვ ა ლ ე ბ ს ა რ ა ხ ა მ ხ ა მ ე ბ ს):
ეეე... მე გავეშვავარე... არა, ჩვენ გავეშვავარეთ... როდის გავეშვავარეთ?
იქ ახლა ცხელია... ეეე!...

ბელაქოვანბატონი: დიახ, ცხელია... ძალიან ცხელია. თქვენ, იმის გარდა, იყა-
ვით აგრეთვე იქ და იმაში, ალბათ, შენიშნავდით, რომ იმ ქალაქებში ბევრი
უნივერსიტეტი...

კუნთაძე: დიახ... მმმ... ვნახე და... ეე... დავამარცხე, ეეე... იიი... პირ-
ველი ადგილი...

ბელაქოვანბატონი: ააა, გაგიკეთ, გაგიკეთ! თქვენ გინდათ თქვათ, რომ დაა-
მარცხეთ ყველა მოწინააღმდეგე და კვარცხლებეის უმაღლეს საფეხურზე
ახვედით, შემდეგ მერე ტურნირშიც გაიმარჯვეთ და მძლავრად მარტო ჩვე-
ნი სპორტის ალამი, არა? (კ ო მ ე ნ ტ ა ტ ო რ მ ა ე ს ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს ხ ა-
პ ა ს ხ უ პ ი თ წ ა რ მ ო თ ქ ვ ა. კ უ ნ თ ა ძ ე შ უ რ ი თ შ ე ს ც ქ ე რ ი ს).

კუნთაძე: ჰო, დიახ... ერთი სიტყვითა...

ბელაქოვანბატონი: შავლევ, ინტერვიუ ძალზე გაგიკრძელდა. ალბათ, დი-
ლაღელთ, მაგრამ კიდეც ერთი ტრადიციული კითხვა: როგორია თქვენი მო-
მავალი გეგმები ცხოვრებასა და სპორტში?..

კუნთაძე (შ უ ბ ლ ი დ ა ნ ო ფ ლ ს ი წ მ ე ნ დ ს): ეეე... მე, ერთი
სიტყვითა... მოკლედ, ასპირანტურა... მეე...

ბელაქოვანბატონი: თქვენ გინდათ თქვათ, რომ კვლავ გაძლიერებით ვარ-
ჯიშობით, რადგან წინ გელით მრავალი საპასუხისმგებლო შეხვედრა, რო-
მელიც, რა თქმა უნდა, წარმატებით დაიცავთ ჩვენი რესპუბლიკის სპორ-
ტულ ღირსებას... პატივცემულო ტელემეფურებლებო, თქვენ, ალბათ, იცით,
რომ შავლევმა ასპირანტურას ამთავრებს და, სპორტულ ღირსებასთან ერ-
თად, მალე, ალბათ, დისერტაციასაც დაიცავს... შავლევ, თქვენ ფილოსო-
ფიურზე ხართ, არა?

კუნთაძე: მე... დიახ... ერთ სიტყვითა... მოკლედ... მეე...

ბელაქოვანბატონი: პატივცემულო ტელემეფურებლებო! მე მინდა თქვენი
სახელით მადლობა გადავუხადო შავლევ კუნთაძეს სასიამოვნო და საინტე-
რესო საუბრისთვის და ვუსურვო წარმატებანი სწავლასა და სპორტში.
გმადლობთ ყურადღებებისათვის!

პირსხელ ტურამ ვარია მოიბარა. დაზარალებულებმა დაიპირეს ტურა
და მგელს მიპვეტარეს განაჩენის გამოსატანად. მგელმა მოუსმინა ტურას და
მოსთხოვა ახსნა-განმარტება: სად და როგორ მოიბარა ვარია. მგელმა,
გააგო რა ახალდამწყები ბაცაცისაგან საქათმის ადვილსამყოფელი, უმაღ
გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი, რომელიც საღერელაშლილმა მისმა
თანამოსახლეებმა იმწამსვე სისრულეში მოიყვანეს. საცოდავი ტურიკოს-
გან მარტო ბეწვის ნაგლეჯები და რჩა. დაზარალებულთა აღტაცებას საზ-
ღვარი არ ჰქონდა. გზაში სულ მგლის ქებაში იყვნენ: აი, ეს მოსპობს ქუ-
რდებსო, მაგრამ ქურდობას ბოლო აღარ უჩანდა. სულწაღელულმა იქ და-
მსწრე მელიამ ვეღარ მოითმინა და ცნობილი ნაკვალავით უფრო გონივ-
რულად დაიწყა ქათმების წყვილ-წყვილად ზიდვა: ერთი თავისთვის და
ერთი მგლისთვის.

მგელი შეეცქეოდა და თან უჩიურებდა: ჩემო დობილო, იცოდე,
თუ ჩავარდი, ვითომ არ მიცნობ, ავტორიტეტს ნუ შემეილახავ, რადგან
ისე უფრო დაგეხმარებიო. გაწუწუდა მელა და გააწუწუა მგელიც. მგელმა
ახლა ორ-ორი ქათამი მოსთხოვა, ხომ იცი რომ დავოჯახდით. ერთ მშვე-
ნიერ დღეს გაემა მელა ხაფანგში. იგი მყისვე გაბაწურეს პატრონებმა და
მიპვეტარეს ავტორიტეტმოხვეტილ მგელს. მგელმა მისცა ჩვეული კითხვა:
საიდან იპარავდი ქათმებსო. მელა მიუხვდა განზრახვას და უბასუხა: ბატო-
ნი მგელო! ძველ საქათმეებში ქათმები რომ გამოილია, სხვა ფერმას მი-
ვაგენიო. აბა, რომელ ფერმას, მისამართი მიიხბარო. მელია ეშმაკი აღ-
მოჩნდა და უბასუხა: მისამართი არ მახსოვს, გზას კი მხოლოდ მთვარის
დახმარებით ვაგნებო. მგელმა მხოლოდ განაჩენი წაიკითხა სოფელთა
თანდასწრებით და მისი სისრულეში მოყვანა მთვარის ამოსვლამდე გადა-
დო, ამასთანავე იმდენი თავხედობაც გამოიჩინა, რომ დააჯარიმა კიდეც
სოფლელები, საქათმის კარები რატომ შავრად არ დაკეტეთო.

მეორე დილით დაზარალებულებმა ფერმასთან ოთხი ფეხის ნაკვალე-
ვის ნაცვლად 8 ფეხის ნაკვალევი ნახეს.

ამის შემდეგ სოფლელებმა შეწყვიტეს მგელთან ჩივილი: სჯობს, ტუ-
რამ თითო ქათამი მოგვპაროს, ვიდრე მელამ წყვილ-წყვილიო.

ასე გადაჩვიდა მელამ სოფლელები მგელთან ჩივილს.

პასი პაბიაზვილი.

გიორგი ალაქსიძე



ჩემი თაიმბული რატომ მიისაქუთონე? კამო, შენ მასუკელი ვისია? ჩემს ბალში დაპარიფი.

მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ი დ ა კ დ ა მ ი ა ნ ე ბ ი

მ ა ნ ქ ა ნ ე ბ მ ა, რომლებიც ჩვენი დაწესებულების ვესტიბულში ადგილკომის თავმჯდომარის დაუცხრომელი ფანტაზიის წყალობით გაჩნდა, დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

კედელზე მოწყობილ ქაღალდის ჯიბეებში ორად მოკეცილი ბარათები დევს. ამოიღებ ერთ მათგანს, რომელსაც შენი გვარი აწერია, შეჰყოფ მანქანის ღრეჩოში, დააწვეები სახელურს და ქაღალდზე აღიბეჭდება ზუსტი დრო. ესე იგი, ხდება სამუშაოზე გამოცხადების დროის ფიქსირება. ამასთან, ზარის დარეკვამდე, ციფრები ლურჯი საღებავით იბეჭდება, ზარის შემდეგ — წითლით. შორიასლო მეტაბელე ქალი დგას და ფხიზლად ადევნებს თვალყურს ყოველ მოძრაობას. დაგვიანებული ამხანაგის განსაცდელიდან დახსნა აქ გაცილებით უფრო მოუხერხებელია, ვიდრე გადმოსაბრუნებელი ტაბელის შემთხვევაში, როცა ძნელია გარჩევა იმისა, თუ ვინ ვის ტაბელს აბრუნებს.

მაგრამ ერთი თვეც არ იქნებოდა გასული, რომ ადგილკომის საგანგებო კრებაზე... საქმე იმაშია, რომ თვის ბოლოს ხუთივე მანქანა გამოვიდა მწყობრიდან. ერთში საღებავი გამოილია და ტვიფარი ფუჭად ურახუნებდა ქაღალდს, მეორე სულ ერთსა და იმავე დროს არჩვენებდა, მესამეს ქაღალდები კბილებში ერჩირებოდა, მეოთხეს

დალტონიზმი განუვითარდა (ფერებს ერთმანეთში ურევდა), მეხუთე გადაიწვა და სამუდამოდ ჩაიწყვიტა ხმა. ასე რომ, მათი მიზეზით, დაგვიანების შემთხვევებმა არამც თუ იკლო, პირიქით, შესამჩნევად იმატა.

— ამხანაგებო! — თქვა კრებაზე ადგილკომის თავმჯდომარემ. — ვინაიდან დაგვიანებათა აღრიცხვის მანქანურმა სისტემამ, ისევე, როგორც მისმა წინამორბედმა — გადმოსაბრუნებელმა, ვერ გაამართლა, წინადადება შემომაქვს, შეიცვალოს იგი ახალი სისტემით, სახელდობრ ჟურნალურით. მოდით, ვიქონიოთ განყოფილებებში ორთი ჟურნალი. პირველ მათგანში ხელს მოაწერენ ზარის დარეკვამდე მოსულები. ზარის შემდეგ ამ ჟურნალს შევინახავთ და გამოვჩინებთ მეორეს, რომელშიაც დაგვიანებულები მოაწერენ ხელს. აღნიშნული დოკუმენტი შემდეგ დირექტორს გადაეცემა და იგი... მაგრამ ეს უკვე ჩვენს ფუნქციებში არ შედის...

— საერთოდ რომ უარი ვთქვათ ტაბელზე? — წამოვიძახე მე.

— უარი ვთქვათ? ტაბელზე? ეს როგორ? — დაიბნა ნოვატორი თავმჯდომარე.

— უბრალოდ: მას, ვინც დროზე მოდის, არავითარი ტაბელი არა სჭირდება, დაგვიანებულებმა კი ამხანაგების წინაშე აგონ პასუხი. ჩვენ ვიზრუნებთ მათი გამოსწორებისთვის.

გაისმა მოწონების შეძახილები. ამხანაგებმა მხარი დამიჭირეს და ხანგრძლივი კამათის შემდეგ გადაწყდა, გვეთხოვა დირექტორისთვის, დროებით გაუქმებინა ტაბელი, იქნებ ამას მაინც ეშველა.

და გვიშველა კიდევ: დაგვიანებათა მრუდი მყისვე დაეცა. თუმცა სრულ გამარჯვებას მაინც ვერ მივალწიეთ. ერთი თანამშრომელი გეყავს, ურიგო კაცი არ არის, თავმდაბალია, შრომისმოყვარე; გემებს გადაჭარბებით ასრულებს და არც საზოგადოებრივ დატვირთვას გაურბის. მაგრამ ერთი ნაკლი აქვს — სისტემატურად იგვიანებს სამუშაოზე ხუთი წუთით. არ გაჭრა არც გაფრთხილებამ, არც უკანასკნელმა გაფრთხილებამ, არც საყვედურმა, არც სასტიკმა საყვედურმა, ამხანაგურმა სასამართლომ...

ბოლოს და ბოლოს, იძულებული გახდით მისი გულისთვის სამუშაოს დაწყების დრო გადაგვეწია. დირექტორი კვლავ წავიდა დათმობაზე და განკარგულება გასცა, ნაცვლად ცხრა საათისა, ათის ხუთ წუთზე დაგვეწყო მუშაობა.

ამ დღიდან მოკიდებული ჩვენი აღსაზრდელი სამსახურში ყოველთვის მოდის... ათის ათ წუთზე!

გურამ შარაშიძე


გ ე უ ლ ი ლ ი

ვ ე ჭ ლ ი



ნ. ა. ლილუაში

იმის კარგი დაცლი დარჯიშ დაკლამებთ გაპირებას.



ნიანის გულგზავი

100 გ. შვანელი გასაბრე — 50 კპ.
1 კბ. — 5 გან.

„პოლკა“ 1400 კბ. — 5600 გან.
1 კბ. „პოლკა“ — 4 გან.

3. ი. 1 კბ. შვანელი 1 განეთით კვირია 1 კბ. „პოლკა“.

ნ. ა. შაბუაძისა

აგომანანების მარგანელიანის მალაზიანი



კლიენტო, ორი საპარკონი ფული გათხოვრისებ და მისთ გაკლავა?
მკმედილელი: მთე მადურობიანით გაკრიგბ მთი კრ ითი? ორი საპარკონი თუ მინდო-
ლა სპრის ფული უნდა გათხოვრისებ!



— რატონ მალაყთ დაცლენი მებრ საკინდს?
— გარმანენიყ და მერ ვარინთ, გატონი!



რითინი? მინდურნი მინდური ჯინე ადუბე ვინ.



ნ. ა. შ. შაბუაძისა

— გავაკვით ოს კაიი, რუსტრინიყან რინე გათხოვია!
— თაჰი ღანებ, მამას კარგაფერი უნდა!

კაკაბა უთხრა კაკაბსა

(ხალხურ პანეზე)

კაკაბა უთხრა კაკაბსა:
„მინიო მებრე მადუფსა“.
კოლაბა მადურქლა:
„თქვენე მინიო ახელ ამბავსა“
ვილი მინიო რა არის,
უფვი მადუფად ქედუფსა?
მინიორე არ უფვის
მეჭეჭორას და კაკაბსა“.

ტორილი მებრეჭისა:
„ნებუ, მოშლდით ქაქანსა,
ჩინე მადუფადი უფანსა,
სეფი მადუფად ქედუფსა“.

მეუ თქვა: „მე ვიცი რად დობს
ის კოლაბა და კაკაბი.
მინიო უფვი მებრეჭი
ქინდით აფილი საქალა“.

კვე იფდა და სუზარს
უფენდა მარენი აჩრვი...
უფლიოს სწვედა მუფურად
და ხელმთა დილი კადუფი.

მადეს სკინიო



„მინიორე“ მამას?
კაკაბსა, თუ მინდა, იანდოდ მინდებ!

სიზმარი პირდაპირ დაკავშირებულია ასაკთან და, რამდენიც არ უნდა იკითხო პლატონი, პეგელი და კანტი, ჩემს დებულებას მაინც ვერ მოერევი ისე, როგორც ასაკს (თუ ბიჭი ხარ, აბა, 21 წლის რომ გახდები, ნუ გადახვალ ოცდამეორეში!)

დავიწყეთ პირდაპირ: ხუთი წლის რომ ვიყავი, მესიზმრებოდა, ნემსივით ვძვრებოდი მეზობლს ეკალ ბარდებით შემორაგულ ბაღში, იქიდან გადმომქონდა ვაშლი, ატამი, ყურბენი... რვა წლისამაც ვერ მოვიშალე მეზობლის ბაღში ნემსივით ძრომა. ამას ვაკეთებდი მანამდე, ვიდრე სკოლის სახელმძღვანელოები ღელეში არ მოვისროლე.

ათი წლის შემდეგ დიდი ნახტომი გავაკეთე. მთლად ამოვიშალე მეხსიერებიდან ვაშლი, ატამი, ყურბენი, შემორაგული ბაღი და, მამაჩემთან ხელჩაკიდებული, ვილაყ სათვალთან ძის მივადექი ქალაქში. ილაპარაკე მამაჩემმა იმ ძიასთან, მერე საწერი მაგიდის უჯრაში დრაცუნას ფოთლის ნაგლეჯით შეკრული დასტა ჩაუდო. სათვალთან წამოდგა, მამაჩემს უთხრა, ამას რავე ვიკადრებდი, მაგრამ რას იზამო. მერე თავზე ხელი გადამისვა და ჩაიროხროხა:

— არ შემარცხვინო, ბიჭო! დააკვიდე წიგნს და დიდი კაცი რომ გამოხვალ, მერე არ მითხრა, ვინ ხარ, ბიძია, შენ, რაღაც ვერ გიგონებო.

ბოლოს ისე აეწყო საქმე, რომ მამაჩემს ელვა დეპეშა დავეუკარი, შენი ჰიპიტო სტუდენტია და იამაყე სოფელში რამდენიც გინდა-მეთქი.

ასე გაიბრინა ხუთმა წელმა. ბოლოს სამმა მუშა მითურია სათვალთან მამაჩემის ძღვენი. მივიღე დიბლომი, რომელიც იტყობინებოდა ჩემს ისეთ განსწავლულობას, რომ ცოტა შემარცხვა კიდეც.

ამ დროს გამომეცხადა თეთრი ანგელოზი, დამიტყლაშუნა ფრთები, სახეზე მომასხა წყალი და მითხრა:

— არა, გეთაყვა შენგან პლუტარქე არ გამოვა, თავს უშველეო. გავიცანი ერთ-ერთი ორგანიზაციის ერთ-ერთი მმართველის შოფერი, დავბატიე ერთხელ, ორჯერ... მერე გადავეხვიე და ვუთხარი, ანგელოზმა შენთან გამომგზავნა და მიანგელოზე-მეთქი, მიანგელოზა, მიმასწავლა ერთ-ერთი თანამშრომლის ჯიბე და ათმანეთიანების დასტა კალათბურთის ბურთივით მოვათავსე ამ ჯიბეში. გავხდი ექსპედიტორი. ვზიდე სხვადასხვა პროდუქტები ჯიბურებში... მოვუხსენი პირი ჯიბეს. გაიბერა ჯიბე, გაიბერა,

გაიბერა... ამოვაკელი ცოტა და ვგლიჯე თავი ამხანაგობაში. ერთ წელიწადში ოთხოთახიანი და სამლოჩიიანი ბინა მივიღე საბურთალოზე. კიდევ ამოვაკელი ჯიბეს — „ვოლგა“ ურიგოდ! ამოვაკელი კიდევ — უნგრული ავეჯი შენს ჰიპიტოს! მესტუმრა ანგელოზი. რა გაკლია, ბიჭო, თუ იციო, მკითხა. ვერ ვუპასუხე.

— ცოლი, — მითხრა მან. მკრა ფრთა და გამაგლო გარეთ. ავავსე სტუმრებით სამივე ლოჯია და ანგელოზივით ქალს ჩავაბარე ოთხოთახიანი საკუთარი ბინის საკუთარი გასაღები.

ახლა ანგელოზმა მე გადმომცა ფრთები. გავშალე, ვიფრინე, ვიფრინე აღმა-დაღმა, ზევით-ქვევით, ზუსტად ისე, როგორც სიზმარში. ამასობაში ოცდამეჩვიდმეტე წელიწადში გადავდგი ფეხი. ყველა სიზმარი ცხადად მისრულდებოდა, რაც სიზმარში ვიყავი, ის ვიყავი ცხოვრებაშიც.

...ერთ დამეს პირდაპირ ლოჯიიდან შემოიჭრა ანგელოზი. მომვარდა საწოლში და სახეში ჩამარტყა ფრთები. გავახილე. თვალი.

— ვინ ხარ, შენ?! — ვიყვირე.
— მე ვარ! — მიპასუხა მკაცრად.
— ვინ შენ?!
— ობეხეესი!

გველნაკებნივით წამოვიჭერი. მეცა წელში ცოლი. გამოვერკვიე — სიზმარი!

ასე იყო მეორე დამეს, მესამეს, მეოთხეს, მეხუთეს, მეექვსეს... მეშვიდე დამეს რალა ცომეპეჩინა ყელში, ვილაყამ გულზე ისე მომიჭირა ხელი, როგორც იმერული ყველის ამოყვანის დროს იციან. ვერ გაუძლო გულმა, გაწყდა შიგნით რალაცა და დაბნელდა.

თეთრისგან შავი რომ გავარჩიე, მომესმა: — ინფარქტი! მოხსენით კაროს ზარი, გამოთიშეთ ტელეფონი, არავითარი ხმაური, ავადმოფი არ გაინძრეს!

მივხვდი, რაშიც იყო საქმე. რას იზამ, ყველა სიკვდილის შვილი ვართ და ვის შეებრძოლები?

იკივლებს ვილაყ, აზღუქუნდება მავან-მავანი. იტყვიან: ჰე, ბიჭო, რა დროს მაგის გული იყო, რამ მოკლა ასე ახალგაზრდა კაციო.

— ახლა, მე დავიწყო, რომ ყველაფერი სიზმარის ბრალია, რომ სიზმარი იცვლება ასაკის მატებასთან ერთად და ორივეს ერთად გული ვედარ უძლებს, თუ თქვენ თვითონ მიხვდით, ასე ახალგაზრდა, დაფასებულ და ანგელოზი კაცი რამ წამიყვანა უღროოდ ამ ქვეყნიდან?

გალაპტონე მახარაძე

მას არაფერი სტკიოდა, **ეპროქსული** არ უჩიოდა არაფერს, **გიგლიოთეკა** მოგზაურობდა, **ლხინობდა**, იყო ფინეთს და არაბეთს.

არც უმადობას ჩიოდა, არც ღვინო სწყყენდა, არც წყალი და მაინც,

მაინც ამბობდნენ: „ავად არისო, საწყალი!“

ურთმა თქვა, ათმა, ათასმა... ცოტა არ იყოს, შეშინდა: „ეგების, მართლა ავად ვარ?!“ თქვა და გაფრინდა ექიმთან.

ექიმმა აწონ-გაზომა, უთხრა: „წინაში მატულობ“. მან უპასუხა: „მამ რა გქნა, დირექტორი ვარ, ბატონო!“

შემდეგ ყურმილი დაადეს ჯერ გულზე, მერე — ბეჭებზე, პროფესორნი და დოცენტნი სენის კვალს დიდხანს ეძებდნენ.

კუჭი? — რკინისას წააგავს! ღვიძლი? — ფოლადზე გამძლეა! ფილტვები? — საბურველები! წნევა? — რის წნევა, რა წნევა!

(სანამ ავადმოფეს სინჯავდნენ კაცნი თეთრხალათიანნი, იქ, სამსახურში, ხელქვეით დღე დასდგომოდათ მზიანი:

ძლივს თავისუფლად სუნთქავდნენ ქვეყნის და საქმის ერთგულნი, თავს აღარ ადგათ უფროსის აჩრდილი წარბებშეკრული).

...წნევა? — რის წნევა, რა წნევა? გული? — ვერ ნახეს, თუ ჰქონდა და... დიაგნოზი დაუსვეს მას ქრონიკული გულქეობა.

ალექსანდრე ტაბატაძე

ნახ. 5. მანუკიანისა





— მიინდამინდ ჩვენ რომ მოგვართავთ, რა საქმიანობა გაქვთ?
 — თბილისის გასივარის მუშაობაში ვარ ნამუშევარი.
 — რა შორიდან დაიწყებ, პირდაპირ ბეთქვა, გასივარში ვიშაობდით.

ყველა ჩემი თავითაო...

— ბუნება, ტყე არ გიყვარა? — მკითხა ერთმა გოგონამ, რომელიც დიდი ხანია მომწონდა.

— რა თქმა უნდა, მიყვარს.

— არა, რაღაც არ მჭერა.

— გეფიცები პატიოსნებას, ხეებიც კი დამირგავს.

— არა, არ მჭერა, მაგრამ თუ დამიმტკიცებ...

— როცა გინდათ! — მზად ვიყავი, ათი ათასი ხე დამერგო.

— აი, როცა საწევროს გადაიხდი და „ტყის მეგობარი“ გახდები, მაშინ დაგიჭერებ.

რაკი შესაძლებლობა მომეცა, მისი ნდობა დამემსახურებინა, ფული გადავიხადე და „ტყის მეგობარი“ გახდი.

მას შემდეგ, როცა ამხანაგებთან ერთად ტყეში დავხეტიალობ, ხეები მოწიწებითა და მეგობრულად მიხრიან ტოტებს. როცა „ტყის მეგობრის“ წიგნაკს ვაჩვენებ და ნაჯახით დავერევი ახალგაზრდა ხეებს საკოცნელად, დიდი სტულგრძელობით მამატიებენ ხოლმე.

სწორედ ასეთივე მიზნით, როცა მეორე გოგონას დარწმუნება მინდოდა (ისიც მომწონდა) ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმეულის წევრიც გახდი. ახლა უფლება მქონდა, თავისუფლად მომეწია სიგაურეტი ისეთ ადგილზეც კი, სადაც გამოკრულია წარწერა: „სდექ! ჩააქრე ბაბირისი!“ ოღონდ წინასწარ, რაზმეულის წევრობის წიგნაკი უნდა დამეძრო ჯიბიდან.

სულ მალე უამრავი წიგნაკი დამიგროვდა, რადგან იმხანად უამრავი გოგო მომწონდა.

მაგრამ ერთხელ...

— დამიჭერე, ჩემო კარგო, ძალიან მიყვარხარ! — გატაცებით ვუმტკიცებდი ერთს. იმის იმედი მქონდა, რომ მორიგი წიგნაკით მის ნდობასაც დავიმსახურებდი.

— არა, არ მჭერა შენი, მამაკაცები მატყუარები ხართ!

— რით დავიმტკიცოთ? — ვკითხე და ხელი ჯიბიდან წავიღე. მზად ვიყავი, მორიგი საწევრო გადამეხადა.

— კეთილი, წამომყევი დედაჩემთან!

გზადაგზა ვფიქრობდი: „ალბათ, წევრობის წიგნაკები დედამისთან ინახება, თორემ შინ რატომ უნდა წამიყვანოს?“ ვერც კი მოვასწარი უფრო ღრმად გავრკვეულიყავი სიტუაციაში, რომ ქალიშვილის სახლს მივადექი.

— დედა, აი, ამ ყმაწვილმა გადაწყვიტა ხელი მთხოვოს.

— ხელი კი არა, წევრობის წიგნაკი, — მინდოდა შემეცნებებინა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

— როგორც იქნა, მაღლობა ღმერთს! — მტაცა ხელი დედამისმა და მამჩის ბიურაში წამიყვანა.

მომავალი სიდდერისთვის სიტყვის შებრუნება რომ გამებედა, ადვილი შესაძლებელი იყო, ტრავმატოლოგიის ინსტიტუტის მუდმივი წევრიც გავმხდარიყავი.

მამჩში წიგნაკები დავვირევეს, რომლის საწევროსაც დღემდე ვიხდი.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ახლა, როცა შვილები მეუბნებიან: მამა, ფული მომეცი, საზოგადოების წევრი უნდა ვაგხდეთ, საკუთარი ფეხით მივყავი წიგნაკის მისაღებად...

ანდრო კოკოლია

წერილი სოფლად

ვაპაჩემო! დრო არა მაქვს,

ხასიათზეც არა ვარ...

სალამ-ხაზარს არ დავიწყებ

და საქმეზე გადავალ:

სიმამრის ძმა არ მომეშვა

და სიდდერიც მაქვზებს, —

წამოვიწყე შრომის წერა

ჩვენი სოფლის ვაზებზე.

სადისერტაციოდ მინდა,

მალე ხარისხს დავიცავ...

ვიცი, ქალაქს ვერ ჩამოხვალ,

შემოთვალე მაინცა:

რა ვაზები ხარობს ჩვენში,

სულ რამდენი ჯიშია,

როდის თესავთ, როდის

ამყნობთ.

ფოთლებს როდის იშლიან?

დარი რომელ ჯიშს უხდება,

რომელს აწყენს ავღარი,

ზოგი ხეზე რატომ აღის,

ზოგი დაბლა რად არი?

იმდენ ყურძენს როგორა

კრეფთ,

ან სად მიგაქვთ იმდენი?

თეთრი ღვინო როგორ ღვება,

როგორ ღვება წითელი?

დიდ-დიდ ქვევრებს როგორ

რეცხავთ,

რა ხისგან თლით ბადიმებს?

დაწვრილებით ჩამოთვალე,

არ გამოგრჩეს რაიმე.

კიდევ რაღაც მსურდა მეთქვა,

შეხსენება მინდოდა...

ღვინო ბევრი დამჭირდება

სადისერტაციოდა!

ნოდარ შამანაძე



მთავარი რედაქტორი ნოდარ ღვინაძე

სარედაქციო კოლეგია:
 ზ. გოლგვაძე (პ/მ. მდივანი),
 ს. კლდიაშვილი,
 ნ. მაღალაშვილი,
 ბ. ნიშნაძე,
 (მთავ. რედ. მოადგილე),
 ნ. შვილიძე,
 ი. ჭელიძე.

საბრისა და იმპორის პურნალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველის პარკისპირა № 42.

ნიანგი

ტელ. 99-76-69, 3-10-78.

კვებულის

ავტობუსი ისეა გაკედილი, ვინმემ ადვილი რომ დაგიტოვოს, მაინც ვერ დაჭდები...

— რას მარწვბა ეს უბედური! —

თქვა ვიღაც ახმახმა და ზემოდან

დამცინავად დახედა ტანმორჩილ

მოქალაქეს, რომელიც მუჭლუგუ-

ნებით მიიკაფავდა ვაზს და ცდი-

ლობდა, დრიბლინგით გაჭირლიყო

კარებისკენ.

— აიტ!.. ვინა უბედური, მე?!

— რაღაც ავის მომასწავებლად

იკითხა მან და უმაღლესი ჯიბისკენ წა-

იღო ხელი.

ახმახი გაფითრდა, უკან დაიხია.

ქალბებმა კივილი ატებეს.

— მე შენ გიჩვენებ, რა უბედუ-

რიც ვარ! — კბილებში გამოსცრა

ტანმორჩილმა, სწრაფად ამოიღო

ხელი ჯიბიდან და შეურაცხყო-

ფელს თვალბეჭდით... ლატარიის ბი-

ლეთი მიაფარა.

მან ხომ წინადლით იმ ბილეთით

„ვოლგა“ მოიგო.

პატი კატაშვილი.

თბილისი, სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“. სპ. კვ. ცენტრალური კომიტეტის განმარტეხლოვა. ხელმოწ. დასაბ. 7/III 1968 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8 1 ნაბ. ფურც. 1,4. ფიზიკურ ფორმატა რაოდენობა 1.. პირობით ფორმატა რაოდ. 2. სპ. კვ. ცკ-ის განმარტეხლო-ბის აკომიზიზი. თბილისი, ლენინის ქ. № 14. შიკვ. № 912. უე 01966. ტარაპი 83.700.

1
1968



ვიეტნამის მიწა იწვის ამერიკელ ინტერვენტთა ფეხ-
ქვეშ.

კენტაგონელი მორიელი.